# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (10.059)

11—18 თებერვალი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# საერთო კრებები დასრულდა, პრიორიტეტები გამოვლენილია

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის საერთო კრებები, რომელთაც მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პრიორიტეტები უნდა გამოევლინა, დასრულდა. სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება და ყველა პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება.**

„დამთავრდა სოფლის საერთო კრებები. მადლობა მინდა გადავუხადო მოსახლეობას ჩართულობისთვის, აქტიურობისთვის. მოსახლეობა დაინტერესებულია საკუთარი სოფლისა და მუნიციპალიტეტის ბედით. მათ ჩვენი სჯერათ და გვენდობიან, ეს კი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს“-განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა სოფლის დახმარების პროექტის ფარგლებში ჩატარებული სოფლის საერთო კრებების შეჯამებისას და მერიის სტრუქტურული ერთეულის ყველა თანამშრომელს მოუწოდა, სწორად და დროულად შეასრულონ ხალხის დაკვეთა. „თითოეულ თქვენგანს მოგიწოდებთ, რომ მათ ეს იმედები არ გავუცრუოთ და მაქსიმუმი გავაკეთოთ, რათა მათ მიერ შერჩეული პროექტები მოკლე ვადებში და ხარისხიანად შესრულდეს“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

გაზეთი „შირაქი“ მოსახლეობის განწყობითაც დაინტერესდა და იმ ადამიანების აზრი გამოიკითხა, ვინც შეხვედრებს ესწრებოდნენ:

ზურაბ ბიკაშვილი, **გამარჯვება**: „მისასალმებელია ეს პროექტი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ხორციელდება. საერთო კრებებზე ხალხი თავის გასაჭირზეც საუბრობს და სოფლის ბედზეც. ახლაც ასე მოხდა. იმ თანხის ფარგლებში, რაც ჩვენი სოფლისთვისაა გამოყოფილი, მოსახლეობის უმრავლესობამ სასაფლაოსთვის ადგილის დამატება და მისი შემდგომი კეთილმოწყობა დაასახელა“.

მზია ქენქაძე, **ხორნაბუჯი**: „**სოფელ ხორნაბუჯში**, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ბავშვებს სათამაშო და გასართობი სივრცე არ აქვთ. ბავშვები საკუთარი სახლების წინ თამაშობენ, სადაც საავტომობილო გზა გადის. ამის გამო მათ სიცოცხლეს არაერთხელ დამუქრებია საფრთხე. სოფლის საერთო კრებაზე მოსახლეობამ ამ პრობლემის მოგვარება მოვითხოვეთ და პრიორიტეტადაც, ხმათა უმრავლესობით, საბავშვო-გასართობი სკვერის მოწყობა დასახელდა.

ეს პროექტი, შესაძლოა, მცირებიუჯეტიანია, მაგრამ სერიოზული პრობლემის მოგვარება და ჩვენი ბავშვების გახარება შეუძლია.“

რამაზ ფუტკარაძე, **ფიროსმანი:** „ფიროსმანში მცხოვრები მოსახლეობისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო ვენახია. ამიტომ ჩვენი ყველა პრობლემაც ვენახებიდან იწყება. სოფლის მოსახლეობამ პრიორიტეტად დაასახელა ვენახების წამლობისთვის არსებული წყალსადენის რეაბილიტაცია, რომელიც ყურძნის კარგი მოსავლის აუცილებელი პირობაა. მეორე პრიორიტეტად კი შინდისის გმირთა მემორიალის პარკში ატრაქციონების მოწყობა -რეაბილიტაცია დასახელდა. ეს პარკი ფიროსმანელი ბავშვების საყვარელი ადგილია და მისი კეთილმოწყობით ჩვენი პატარები ძალიან გაიხარებენ“.

მაია სულაშვილი, **გამარჯვება:** „ძალიან მომწონს, რომ არსებობს და კვლავ გრძელდება სოფლის დახმარების პროგრამა. საერთო კრებებს მოსახლეობა ინტერესით ელოდება ხოლმე. აქ ხდება აზრებისა და პრობლემების გაზიარება, საერთო პრობლემაზე ფიქრი. წელსაც არ დაირღვა ტრადიცია და ხალხმა გადავწყვიტეთ, რომ მნიშვნელოვანი პრობლემა სოფლისთვის არის როგორც სასაფლაოს გაფართოება, ასევე სოფელში არსებულ წყლის რეზერვუართან საქონლის დასარწყულებელი ნავების მოწყობა. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ იმას, რომ პროგრამის ბიუჯეტი დიდი არაა, მაგრამ ეს პატარ-პატარა პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია. ხომ გაგიგონიათ- პატარა საქმეები ქმნიან ერთ დიდ საქმეს. ასეა ამ შემთხვევაშიც“.

პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებები 1 თებერვალს დაიწყო და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა.

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობას მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერის წარმომადგენლებთან და საკრებულოს წევრებთან ერთად ხვდებოდა.

**ინგა შიოლაშვილი**

## პარასპორტსმენების მორიგი ტრიუმფი!

გვ. 4

## სამეზობლო დავა ძაღლის გამო



გვ. 5

## რა ვიცით თურქეთსა და სირიაში მომხდარ მიწისძვრაზე?

# შენობების სეისმომედეგობა და სტანდარტები 2024 წლიდან გამკაცრდება

***2024 წლიდან საქართველოს სამშენებლო სტანდარტებში ევროკოდები შემოდის, რომელმაც სექტორი სრულად ახალ ეტაპზე უნდა გადაიყვანოს. მათ შორის, აამაღლოს შენობების სეისმომედეგობა და უსაფრთხოება.*** როგორც საპროექტო კომპანია Q Engineering-ის დამფუძნებელმა, მთავარმა ინჟინერმა ირაკლი ურუშაძემ განუცხადა, ევროკოდები მთლიანად შეცვლის იმ საპროექტო ნორმებს, რაც შენობის მზიდი ნაწილების გაანგარიშება-დაპროექტების საკითებს ეხება საპროექტო დოკუმენტაციაში. შედეგად, სამშენებლო ნორმები გათანაბრდება ევროპულთან და ამაღლდება შენობებისა და მშენებელობების უსაფრთხოებაც.

ახალი სტანდარტების შემოტანის პარალელურად, განახლდება სეისმური რუკებიც რაც სეისმური საფრთხის შეფასების საფუძველია. „დღეს მოქმედი სეისმური რუკა მოძველებულია, თუმცა, ეს რუკები ყოველთვის ახლდება და მკაცრდება. ყველა შემთხვევაში, ის რუკა რაც შემოვა ევროკოდთან ერთად, უფრო მკაცრი იქნება, უსაფრთხოება იქნება უფრო პრიორიტეტული, რადგან, გარდა რუკებისა თანამედროვე მეთოდოლოგია შემოვა, რითაც უნდა დაითვალოს შენობაზე სეისმური ზეგავლენა, რაც შეამცირებს რისკებს და გაზრდის სეისმომედეგობას. ქართული სეისმური სტანდარტი 2010 წელსაა მიღებული. ის ითვალისწინებს რაღაც ნაწილით ევროპულ ნორმებსაც, უკრაინულსაც, ძველ საბჭოთა ნორმებსაც. მაგრამ ეს უკვე მოძველებული ნორმაა და როგორც წესი, 10 წელიწადში ერთხელ ნორმები იცვლება ხოლმე, იქედან გამომდინარე, რომ ცოდნა იზრდება იმ სფეროში" - აცხადებს ირაკლი ურუშაძე „ბიზნესპარტნიორთან“. მისივე თქმით, ევროკოდების შემოსვლა ძირითადად, ინჟინრებს ეხებათ, თუმცა, ეს ასევე ავტომატურად გამოიწვევს მასალებისა და მშენებლობის ზედამხედველობაში ევრორეგულაციების შემოტანას, რაც გაზრდის მშენებლობის ხარისხს, გაათანაბრებს მას ევროპულ ხარისხთან.

„საქართველოში მშენებლობისა და მასალების წარმოების ხარისხიც აიწევს. ეს განაპირობებს შენობებისა და მშენებელობების უსაფრთხოების ამაღლებას. ასევე, ცვლილებების ფარგლებში, იგეგმება სეისმური რუკების განახლებაც. ყველაზე თანამედროვე რუკა იქნება დანერგილი, რაც თავისთავად აწევს სეისმომედგეგობასაც მომავალი შენობის, რომელიც დაპროექტდება" - აცხადებს ირაკლი ურუშაძე. მისივე განმარტებით, ახალი სტანდარტები გარკვეულწილად ფასსაც აწევს, თუმცა, ევროპის გამოცდილების გათვალისწინებით, ხარისხის აწევას უფრო დიდი სარგებელი მოაქვს, ვიდრე ფასის გაზრდას - ხარჯი. ამასთან, ინჟინერი განმარტავს, რომ ქვეყნის დიდი პროექტები - ავტობანები, ხიდები და მსგავსი ინფრასტრუქტურა ისედაც ევროკოდებითა და ევროპული ნორმებით შენდება. სიახლე ძირითადად ლოკალურ, კერძო მშენებლობებსა და დეველოპერებს შეეხება.

# საბავშვო ბაღების პერსონალი გადამზადდება

**6 წლამდე ასაკის ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღების აღმზრდელებსა და ექთნებს პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარების თემაზე ტრენინგი ჩაუტარდა.**

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი ირმა ჯანაშვილი „შირაქს“ ეუბნება, ცენტრის ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტმა მანანა ბეგლარიშვილმა საბავშვო ბაღების პერსონალს ყველა ის პირველადი უნარები გააცნო, რომელთა გამოყენებაც გადაუდებელ შემთხვევებშია საჭირო.

„გვინდა, კიდევ უფრო გავზარდოთ ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემო და პერსონალი საჭიროების შემთხვევაში დროული და ეფექტური რეაგირებისთვის მზად იყოს. პირველ ეტაპზე ტრენინგი ქალაქ დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებს ჩაუტარდა, შემდეგ კვირაში ეტაპობრივად მივყვებით და ყველა სოფლის საბავშვო ბაღის აღმზრდელები და მედიკოსები გადამზადდებიან. ამ დეტალებზე აღმზრდელებს არ აქვთ გადამზადება გავლილი, ამ უნარებს მხოლოდ მედდები ფლობდნენ. ამიერიდან კი გვინდა აღმზრდელებიც მზად იყვნენ გამოწვევებისთვის,“ – ამბობს ირმა ჯანაშვილი.

# სურსათის უვნებლობის ნორმის დარღვევები დედოფლისწყაროში

**სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ობიექტზე გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირება განახორციელა. როგორც სააგენტოდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, გასულ თვეებში შემოწმდა დედოფლისწყაროში მოქმედი 11 საწარმო.**

შენიშვნები არ გამოვლენილა დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღებში მოქმედ სამზარეულოებში და სოფელ გამარჯვებაში ახლადგახსნილ მზა პროდუქტების მწარმოებელ კომპანია „ჯეონატურალსში“. სურსათის სააგენტოს ინსპექტორებმა აქ მცირე შეუსაბამობებიც კი ვერ დააფიქსირეს.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტო გვატყობინებს, **გეგმური შემოწმება ჩაუტარდა სოფელ ხორნაბუჯში მდებარე ე.წ. მაზოვკის წყლის სათავე ნაგებობას, რომელსაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრი მართავს. სპეციალისტებმა წყლის სათავეში არაკრიტიკული შეუსაბამობები დააფიქსირეს, გაიცა რეკომენდაციები და მითითებები ხარვეზების გამოსასწორებლად, რათა წყალი სასმელად ვარგისი იყოს.**

ინსპექტორებმა არაკრიტიკული შეუსაბამობები გამოავლინეს სოფელ გამარჯვებაში მდებარე შპს „ტრანსკომერსი“ ცხოველთა სასაკლაოში; ქალაქ დედოფლისწყაროში, გურამიშვილის №30-ში მდებარე ფრინველთა სასაკლაოში, ქალაქ დედოფლისწყაროში აღმაშენებლის ქ №13-სა და 1 მაისის №39-ში მდებარე რძის საწარმოში; ასევე რძის საწარმოები „ნობეკო“ და „ლეანკა“, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მდებარე რძის საწარმო „ნატურალ ჰაბი“ და სამრეკლოში მოქმედი რძის საწარმო. ქ. დედოფლისწყაროში საწარმოში „რძის ქალაქი“ ჯერ არაგეგმური შემოწმება ჩატარდა, შემდეგ კი გეგმიური, ორივე შემთხვევაში იყო შენიშვნები.

ყველა მათგანს დაევალა დაუყოვნებლივ გაატარონ ღონისძიებები სტანდარტების უზრუნველსაყოფად და მცირე ხარვეზების გამოსასწორებლად.

# საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკა გამოქვეყნდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის განმავლობაში საქართველოში 7 517 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, დაიღუპა 430, ხოლო დაშავდა 5 469 ადამიანი. ამის შესახებ ინფორმაციას „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ავრცელებს.**

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკა

მათივე ცნობით, შსს-ს მონაცემების თანახმად, გასულ წელს დედაქალაქში 2 498 სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, დაშავდა 3 021 ადამიანი, ხოლო დაიღუპა 61 პირი.„2021 წლის განმავლობაში 7 705 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა (სსკ-ის 276-ე მუხლის მიხედვით), დაიღუპა 449, ხოლო დაშავდა 5863 ადამიანი. დედაქალაქში მოხდა 3 219 შემთხვევა, დაშავდა 2 674 ადამიანი, ხოლო დაიღუპა 56 პირი. 2022 წელს თბილისში, წინა წელთა შედარებით საგზაო შემთხვევების და დაშავებულთა ოდენობა შემცირებულია 6%-ით, ხოლო დაღუპვა გაზრდილია 8 %-ით“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორც „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე, ეკა ლალიაშვილი განმარტავს, საქართველოში 2022 წლის განმავლობაში წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები შემცირებულია 6%-ით, დაზიანებები 2 %-ით, ხოლო ლეტალობა 4 %-ით. „ამ პოზიტიური დინამიკის ფონზე, დედაქალაქში ლეტალობა 8%-ით გაზრდილია. აღნიშნული ტენდენცია მიგვანიშნებს, რომ მეტი ფოკუსირება და ძალისხმევა არის საჭირო საგზაო უსაფრთხოების ასამაღლებლად.

დღეს არსებული სიჩქარის ლიმიტები დედაქალაქში საკმაოდ მაღალია, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია სიჩქარის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება და არსებული ლიმიტების გადახედვა. განსაკუთრებით კი გზის იმ მონაკვეთში, სადაც შერეული მოძრაობაა, მჭიდროდ დასახლებული პუნქტია, სკოლის ზონებია. მაღალი სიჩქარე ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია საგზაო შემთხვევების ლეტალური შედეგის და მძიმე დაზიანების. საერთაშორისო გამოცდილება „უსაფრთხო სისტემის“ (Safe System) დანერგვისკენ მოგვიწოდებს, რაც იმას გულისხმობს, რომ საგზაო შემთხვევები შესაძლოა მოხდეს, მაგრამ ისინი ლეტალურად და მძიმე შედეგებით არ უნდა სრულდებოდეს. მიმდინარე სტატისტიკა კი გვაუწყებს, რომ საგზაო შემთხვევების შემცირების ფონზე დედაქალაქში სიკვდილობა მკვეთრად იზრდება“, – აცხადებს ეკა ლალიაშვილი.

# ოფისი დაიხურა, „კონსერვატიულ მოძრაობას“ კი ახალი ლიდერი ჰყავს

**„კონსერვატიული პარტიის“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ოფისი დაიხურა. რუსთაველის ქუჩაზე ნაქირავებ ფართში ტელეკომპანია „ალტ-ინფოს“ მიერ დაფუძნებული მოძრაობის ოფისი გასული წლის 10 მარტს გაიხსნა. შტაბი რამდენიმე თვის განმავლობაში ღია იყო, ბოლო თვეებში იქ მოძრაობა თითქმის არ შეინიშნებოდა, თუმცა პარტიული სიმბოლიკა ამ დრომდე განთავსებული იყო.**

როგორც გაზეთმა „შირაქმა“ გაარკვია, დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციას რამდენიმე თვეა ახალი ლიდერი ჰყავს. მას ქვემო ქედის მკვიდრი კახი ხუციშვილი ხელმძღვანელობს. მას საერთაშორისო ბიზნესის განხრით განათლება აქვს მიღებული და პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნია. ხუციშვილი განმარტავს, რომ ოფისის დახურვა რაონული ორგანიზაციის გაუქმებას სულაც არ ნიშნავს და ისინი პოლიტიკური მიზნებისთვის ბრძოლას კვლავაც გააგრძელებენ.

**კახი ხუციშვილი:** „პირველ რიგში, ამ გუნდში იმიტომ ვარ, რომ თვითონ კონსერვატორი ვარ და ვიყავი ამ მოძრაობის შექმნამდეც. მომწონს მათი ხედვა შიდა და საგარეო პოლიტიკაზე. 12 წლის განმავლობაში საქართველოდან წასული ვიყავი. სააკაშვილის დროს აქედან მთელი ოჯახი წავედით სახელისუფლებო რეპრესიების გამო. ჩემს ოჯახს ჰქონდა ბიზნესი და როგორც იმ რეჟიმის დროს ხდებოდა, ე.წ. „ლეგალური რეკეტი“ შეგვეხო. ახლა ჩვენს ქვეყანაში შეიძლება თავისუფლად საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების დაფიქსირება, მიუხედავად დაბრკოლებებისა. დავბრუნდი საქართველოში, რომ მივხედო მიწას და მქონდეს ჩემი პოზიცია ქართულ პოლიტიკაში. ოფისები მთელი საქართველოს მასშტაბით დაიხურა, სხვა ფორმატზე გადავდივართ, რესურსები სხვა მიმართულებით გადანაწილდება და ვაგრძელებთ მოძრაობას. წინ საინტერესო მოვლენები გველის. ახლა ნაცმოძრაობა რეგიონებში გასვლას აანონსებს და ამაზე რეაქცია აუცილებლად გვექნება.

ზოგადად, პოლიტიკური მოღვაწეობა ვინმეს წინააღმდეგ ბრძოლას არ ნიშნავს. მადლობა ღმერთს, დედოფლისწყაროში, პოლიტიკური კუთხით სიმშვიდეა. ხელისუფლებას აქ კომპეტენტური კადრები ჰყავს. ჩემი აზრით, მთელი რეგიონების შედარება რომ გავაკეთოთ, ყველაზე ხარისხიანი კადრი დედოფლისწყაროში არის. ჩვენი მოღვაწეობა ამ რეგიონში სუფთა იდეოლოგიური თვითიდენტიფიკაციის გავრცელებაა. აქ საზოგადოება ისედაც კონსერვატიულია და მე, პირადად ვცდილობ, რომ ჩვენმა ხალხმა შეძლოს ადვილად აღქმა, თუ რა ტენდენციებია არის იდენტობისათვის სახიფათო,“ – უთხრა „შირაქს“ კახი ხუციშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „კონსერვატიული პარტიის“ ოფისის გახსნას პროტესტი მოჰყვა დედოფლისწყაროშიც. გახსნიდან რამდენიმე დღეში პარტიული ბანერები სხვა რაიონების მსგავსად აქაც დააზიანეს. რაიონული ოფისის გახსნის პერიოდში ორგანიზაციას ასევე ქვემო ქედელი დემნა კარატიელი ხელმძღვანელობდა, ის ისევ რჩება გუნდში.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №ბ56.56230403

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

**საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ეე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 თებერვლის N56 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,**

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

**მამუკა ალადაშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**მალხაზ მერაბიშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ირინა ზელენსკაია** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

**იოსებ ბუთხუზი** - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ბექა ჯავახიშვილი** - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2023 წლის 1 თებერვლიდან 2023 წლის 30 ივნისამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, **ჰ. გონაშვილის ქ. №6.**

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.(**ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.)**

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 01 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 აგვისტოს №ბ56.56222217 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15). ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
**დედოფლისწყაროს**
**მუნიციპალიტეტის მერი**

# ნაკვეთის დაწვაზე ჯარიმა წესდება

**მიწის ნაკვეთზე არსებული მარცვლოვანი მცენარეებისთვის (მათ შორის მათი ნაწვერალისთვის) ცეცხლის წაკიდებისათვის საჯარიმო სანქცია დაწესდება. ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელდება.** ამის შესახებ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებით გეგმაშია ნათქვამი, რომელიც პარლამენტს წარედგინა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულ ცვლილებებზე პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე იმსჯელებს.

„საჯარიმო სანქციის შემოღების საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მესაკუთრე/მფლობელი, მოსავლის აღების შემდგომ ახდენს მიწის ნაკვეთზე დარჩენილი ნაწვერალისთვის ცეცხლის წაკიდებას მისი დაწვის მიზნით, რაც დიდ ზიანს აყენებს როგორც ნიადაგს, ასევე გარემოს. არსებობს მიმდებარე ნაკვეთებზე, მინდვრებზე, ტყეებზე ან დასახლებულ პუნქტებზე ხანძრის გავრცელების ძალიან დიდი ალბათობა, რამაც შესაძლებელია, შეუქცევადი პროცესები გამოინვიოს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ასეთი ქმედებისათვის არსებობდეს შემაკავებელი ეფექტის მქონე ადმინისტრაციული ჯარიმა“, — ნათქვამია დოკუმენტში.

ალოობის შემდეგ ნაკვეთების გადაწვის პრობლემა დედოფლისწყაროში ყველაზე მწვავედ დგას. ამის გამო ძველი და ახლადაღდგენილი ქარსაფარი ზოლები ბევრჯერ განადგურდა.

# სტუმრად რედაქციაში...

***გასულ კვირას ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის ხელოვნების მასწავლებელი, ნინო ლოლაშვილი, გაზეთ „შირაქს“ დაუკავშირდა და ჩვენი ძველი და ახალი არქივის დასათვალიერებლად, რედაქციის მუშაობის რიტმის, გაზეთის შექმნის, გამოშვების პრინციპებზე სასაუბროდ და სასკოლო პროექტის ფარგლებში მასალების მოსაძიებლად რედაქციაში ვიზიტი გვთხოვა. ძნელია, ასეთ კარგ წამოწყებას მხარი არ აუბა და აი, 8 თებერვალს, გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ბავშვების ჟრიამულმა აახმიანა. ჩვენ სტუმრად ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მეათე კლასის მოსწავლეები გვეწვივნენ.***

როგორც თავად ბავშვებმა აღნიშნეს, ისინი ახორციელებენ პროექტს წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ტაძრის შესახებ, რომლის მიზანია დედოფლისწყაროში არსებული არქიტექტურული ძეგლის მრავალმხრივი კვლევა. მასალების მოსაძიებლად კი სწორედ ჩვენს გაზეთს ესტუმრნენ, რადგან რედაქციაში საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალწლიანი ისტორიაა შემონახული ჩვენი მუნიციპალიტეტის შესახებ.

„ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი, საინტერესო დაარქივებული მასალები ვნახეთ. სიძველისგან ფურცლებს ფერი ჰქონდათ შეცვლილი, მაგრამ იმდენად კარგად იყო შენახული არქივი, რომ თითოეული სიტყვა გარჩევადი იყო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფოტოებმაც. გავიგეთ, რომ ილია II სტუმრობდა დედოფლისწყაროს. იქ მომუშავე პერსონალმა: **ინგა შიოლაშვილმა, ილია მარტყოფლიშვილმა** და **ჟუჟუნა ყანჩაშვილმა** ძალიან თბილად მიგვიღეს. ელიის მთის მასალების გარდა გვესაუბრნენ და აგვიხსნეს, თუ როგორ ხდება ყოველკვირეული გაზეთის აწყობა, მასალების მოძიება/დამუშავება, ტექსტების რედაქტირება, გაზეთის გამოსაშვებად მომზადება. ეს ყველაფერი ჩვენთვის ნამდვილად სიახლე და რაც მთავარია, უდაოდ საინტერესო იყო. რამდენიმე ჩვენგანი დაფიქრდა კიდეც სამომავლოდ ამ პროფესიის არჩევაზე. მადლობას ვუხდით რედაქციას ამ ინფორმაციის მიღებისთვის, რომელიც პროექტის შევსებაში ნამდვილად დაგვეხმარება. დიდი სიამოვნებით გავიმეორებდით ამ ვიზიტს და უფრო მეტს შევიტყობდით გაზეთ „შირაქის“ შესახებ. ასევე მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს: ლალი გურასპაულს და ლალი ბასილაშვილს. ისინი ყოველთვის მზად არიან მოგვაწოდონ სასურველი ინფორმაცია“ - აღნიშნეს მოსწავლეებმა.

გაზეთი „შირაქი“ მადლობას უხდის ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მეათე კლასის მოსწავლეებსა და მასწავლებელს ნინო ლოლაშვილს ჩვენი გაზეთით, მისი არქივით დაინტერესებისთვის. გაზეთი „შირაქი“ მუდმივად გვერდში უდგას ახალგაზრდების წამოწყებებს და მომავალშიც აუცილებლად ითანამშრომლებს მათთან.

გვახსოვდეს, რომ განათლებულ თაობა ძლიერი ქვეყნის მომავალია!

**ჟუჟუნა ყანჩაშვილი**

# პარასპორტსმენების მორიგი ტრიუმფი

***საქართველოში პარასპორტი არც ისე დიდ დროს ითვლის, მაგრამ მისი არსებობის განმავლობაში პარასპორტსმენები ყოველთვის ამტკიცებდნენ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს.***



გიორგი ხიზანიშვილი

სწორედ მორიგი ტრიუმფი და წარმატება მოიპოვა საქართველოს პარატაეკვონდოს ნაკრებმა, თურქეთში, სტამბულის ღია ჩემპიონატის და პრეზიდენტის ევროპის თასის გათამაშებაზე. ორი ტურნირის მონაწილე 30 ქვეყანას შორის, 7 ქართველი პარასპორტსმენის 10 მაღალი სინჯის მედალი. 6 ოქროს, 2 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალია პარატაეკვონდოს ნაკრების ანგარიშზე. გოგა ხახალაშვილი და გელა ზარქუა სტამბულის ღია ჩემპიონატის და პრეზიდენტის ევროპის თასის ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ. სანდრო მეგრელიშვილმა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეულმა წარმომადგენელმა, წარმოშობით **არბოშიკელმა გიორგი ხიზანიშვილმა** პრეზიდენტის ევროპის თასის ოქროს მედლები მოიპოვეს. გიორგი ხიზანიშვილი სტამბულის ღია ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელიც გახდა, გიორგი ნიკოლაძემ კი პრეზიდენტის ევროპის თასის ვერცხლი აიღო. ლია ჩაჩიბაია ორივე ტურნირის ბრინჯაოს მედლების მფლობელია. თურქეთში გამართული პრეზიდენტის ევროპის თასის და სტამბულის ღია ჩემპიონატის ტურნირების მონაწილე ქვეყნებს შორის, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები ფინალურ ბრძოლებში თურქეთის, უზბეკეთის, უნგრეთის, ირანის უძლიერეს მოწინააღმდეგეებს შეხვდნენ და გადამწყვეტ ბრძოლებში გამარჯვება მოიპოვეს.

**„ამ შედეგის უკან ძალიან დიდი შრომა დგას. დიდი მადლობა ამისთვის ჩემს ძალიან მაგარ ნაკრებს. ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე თქვენი დამსახურებაა. მადლობა პარალიმპიურ კომიტეტს, პარასპორტის განვითარების ცენტრს და მათ ხელმძღვანელობას ასე ერთგულად გვერდში დგომისთვის. დიდი მადლობა ყველა გულშემატკივარსა და თანამონაწილეს. ჩვენ გავაგრძელებთ განვითარებას და თქვენს გახარებას“** - ასე გამოეხმაურა თავის სოციალურ ქსელში პარატაეკვონდოს გუნდის მთავარი მწვრთნელი შოთა გოჩიაშვილი მიღწეულ წარმატებას.

* * *

საზოგადოებას ხშირად უჩნდება კითხვა, თუ რა სპორტის სახეობაა ტაეკვონდო? როგორი ისტორია, განვითარება და ბრძოლის ტექნიკები აქვს მას. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, მის შესახებ დეტალურად მოგიყვეთ. მაშ, ასე:

კორეულ საბრძოლო ხელოვნება „ტაეკვონდო“-ს სხვაგვარად სრულყოფილებისკენ მიმავალ გზას უწოდებენ. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე საბრძოლო ხელოვნება თავის თავში აერთიანებს გონების, ხელებისა და ფეხების ძლევამოსილ კომბინაციას. იმდენად ძლიერს, რომ საუკუნეების განმავლობაში იაპონელი ოკუპანტები ტაეკვანდოს ოსტატებს უკრძალავნდნენ ორთაბრძოლების ჩატარებასაც და მოსწავლეების აღზრდასაც. რადგან კარგად ხედავდნენ, რამდენად მარტივად შეეძლო ამ ხელოვნებას ადამიანებში საკუთარი თავის რწმენა დაებრუნებინა.

ტაეკვონდო კორეული საბრძოლო ხელოვნება და სამხრეთ კორეის ნაციონალური სპორტის სახეობაა. **კორეულად ტაე - ნიშნავს „ფეხით დარტყმას“, კვონ - „მუშტის დარტყმას“, დო - ნიშნავს „გზას“, „მეთოდს“ ან „ხელოვნებას“.** მიმდრევრების რაოდენობის გათვალისწინებით, ტაეკვონდო საბრძოლო ხელოვნებებში წამყვანი სახეობაა. თანამედროვე ტაეკვონდო მოიცავს შეტევის ტექნიკას, თავდაცვას, ფიზიკურ ვარჯიშებს, მედიტაციასა და ფილოსოფიას. სამხრეთ კორეაში ტაეკვონდო ჯარისკაცების საწვრთნელად გამოიყენება. ტაეკვონდოს სპარინგები - სიჰაბ გეირუგი -შესულია ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში.

მსოფლიოში ტაეკვონდოს რამდენიმე ორგანიზაციაა, მათგან ყველაზე ცნობილია ტაეკვონდოს მსოფლიოს ფედერაცია (WTF), ტაეკვონდოს საერთაშორისო ფედერაცია (ITF), ამერიკის ტაეკვონდოს ასოციაცია, სონგჰამის ტაეკვონდოს ფედერაცია (STF) და მსოფლიოს ტრადიციული ტაეკვონდოს გაერთიანება (WTTU).

ტაეკვონდოს ორი სტილი არსებობს: ტრადიციული და სპორტული. ტრადიციული ტაეკვონდო იმავე სახითაა, რაც 50-იან წლებში იყო, სპორტულმა კი მცირეოდენი ცვლილებები განიცადა. ორივე სტილში ძირითადი აქცენტი ფეხზეა გაკეთებული (დარტყმების უმეტესობა ფეხით კეთდება). სხვაობა ძირითადად გამოიხატება შეჯიბრებების წესებში. ტაეკვონდოს ვარჯიშებში ხშირია დარტყმა ნახტომებში, გაშლილი ხელით დარტყმა, აგურებისა და ქვების ჩამტვრევა მუშტით და ფეხით. ზოგ მწვრთნელს ძიუდოსა და ჰაპკიდოს ელემენტებიც შეაქვს.

### ისტორია

ტაეკვონდოს ისტორიაზე მრავალი მოსაზრება არსებობს. ტაეკვონდოს ორგანიზაციები როგორც წესი ამბობენ, რომ ეს სახეობა ადრეული კორეული საბრძოლო ხელოვნებისგან წარმოიშვა. არის ასეთი მოსაზრებაც, რომ ტაეკვონდო უცხო ქვეყნების კულტურის გავლენის შედეგია, მაგალითად იაპონიის. უძველესი კორეული საბრძოლო ხელოვნება სამი კორეული სამეფოს: გოგურიოს, სილასა და ბაეკიეს უხელო ორთაბრძოლების ნაზავი იყო. ახალგაზრდა ჭაბუკები ვარჯიშობდნენ ამ სტილში რათა განევითარებინათ ძალა, სისწრაფე და თავდაცვის უნარ-ჩვევები. ვინც ამ სტილს კარგად აითვისებდა, აღსაზრდელად უშვებდნენ სპეციალურ საბრძოლო დანაყოფებში და უწოდებდნენ ჰვარანგს (Hwarang). ჰვარანგებს გარდა საბრძოლო ხელოვნებისა, ასწავლიდნენ ფილოსოფიას, ისტორიას, ეთიკასა და ცხენოსნობას. წვრთნის განრიგში შედიოდა იარაღებით ვარჯიში: ფარიკაობა და მშვილდოსნობა, როგორც ცხენზე, ისე მიწაზე. სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ჰვარანგები მიემგზავრებოდნენ სილას სამეფოში მისი ღირსების დასაცავად და იწოდებოდნენ როგორც „ჰვარანგ-დო“. იქ სწავლობდნენ საბრძოლო ხელოვნება ტაეკიონს, ისტორიას, კონფუცის ფილოსოფიას, ეთიკას, ბუდისტურ მორალს, სოციალურ უნარ-ჩვევებსა და სამხედრო ტაქტიკას. მთავარი პრინციპები ემყარებდა ბუდისტი ბერის, ვონ გვანგის 5 კოდექსს: ერთგულება, მშობლის პატივისცემა, საიმედოობა, სიკეთე და სამართლიანობა. ტაეკვონდო მთელ კორეას მოედო, რადგან ჰვარანგები სხვა ხალხის კულტურისა და რელიგიის შესწავლის მიზნით მთელ ნახევარკუნძულზე მოგზაურობდნენ.

### განვითარება

კორეა მეოცე საუკუნეში 35 წელი იაპონიის მმართველობის ქვეშ იყო. ამ დროს აკრძალული იყო კორეულად ლაპარაკი, პრესა კორეულ ენაზე, კორეის ისტორიის სწავლება და ა.შ. ამიტომ კორეული საბრძოლო ხელოვნებაც წნეხის ქვეშ იყო. კორეელები იძულებულნი იყვნენ იაპონიაში, ჩინეთში ან მანჯურიაში წასულიყვნენ და იქ ევარჯიშათ. 1945 წელს, როცა იაპონიის მმართველობის ხანა დასრულდა, საბრძოლო ხელოვნების სკოლები კვლავ გაიხსნა. ზოგიერთი ცნობით, სკოლებში ისევ ჩვეულებრივი ტაეკიონი და სუბარი ისწავლებოდა, სხვების აზრით კი, ეს უკვე შეცვლილი სახეობა იყო, რომელიც კუნგ-ფუსა და ტრადიციულ კარატეს ჰგავდა. 1952 წელს, კორეის ომის დროს, კორეული საბრძოლო ხელოვნების ჩვენება მოეწყო. მონაწილემ ნამ ტაე ჰიმ საჩვენებელი თითით 13 კრამიტი ჩაამტვრია. ამის შემხედვარე, სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა სინგმან რიმ გენერალ ჩოი ჰონგ ჰის დაავალა ჯარისკაცებისთვის ეს ხელოვნება ესწავლებინა. 1955 წლის 11 აპრილს ჩოი ჰონგ ჰიმ კორეულ საბრძოლო ხელოვნებას „ტაეკვონდო“ უწოდა. დღესდღეობით, ტაეკვონდო 123 ქვეყანაში ისწავლება და 30 მილიონი მიმდევარი ჰყავს, რომელთაგან 3 მილიონს შავი ქამარი აქვს.

### ტექნიკა

ტაეკვონდოში შეტევას დიდი ყურადღება ეთმობა, რაც მას განასხვავებს ტრადიციული კარატისგან და კუნგ-ფუსგან (ამათში მთავარი თავდაცვაა). უამრავი დარტყმა არსებობს ფეხით და ცოტა ხელით, რადგან კორეელები მიიჩნევდნენ, რომ ხელი სათუთი ორგანოა და ჩხუბში არ უნდა დაზიანდეს. ტაეკვონდო პოპულარულია ორივე სქესში. მისი მიმდევრები სხვადასხვა ასაკისანი არიან. ეს სპორტი შესანიშნავად ავითარებს სისწრაფეს, მოქნილობას, ძალას, ბალანსსა და ამტანობას. ტაეკვონდოში მოვარჯიშე ატარებს სპეციალურ ფორმას, რომელსაც დობოკი ჰქვია. ძირითადად თეთრია, შეიძლება შავი ან სხვა ფერის იყოს. წელზე უკეთია ნაჭრის ქამარი, რომლის ფერიც მის დონეს ასახავს. ტაეკვონდოს სკოლებს დოიანგი ეწოდება.

* * *

**საქართველოში ტაეკვონდო შედარებით ახალი სპორტია. საქართველოს პარატაეკვონდოს ფედერაცია 2017 წლიდან ფუნქციონირებს, მაგრამ მისი მომავალი ნამდვილად დამაიმედებლად და სასიკეთოდ გამოიყურება. შესაბამისი უწყებების გვერდში დგომით და აუცილებელი მხარდაჭერით, დარწმუნებულები ვართ, რომ სპორტის ეს სახეობა კიდევ უფრო განვითარდება და მეტ ადამიანს დაინტერესებს.**

**გაზეთი „შირაქი“ ულოცავს გიორგი ხიზანიშვილ, ასევე ჩვენს სახელოვან პარასპორტსმენებს, მთავარ მწვრთნელს შოთა გოჩიაშვილს მიღწეულ გამარჯვებებს და მომავალშიც წარმატებებს უსურვებს მათ.**

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# სამეზობლო დავა ძაღლის გამო



**სოფელ სამთაწყაროში მეზობლებს შორის დაწყებული კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა. ნოემბრის ბოლოს ნადირაშვილების ძაღლმა მეზობელი დაკბინა. განაწყენებულმა მეზობელმა ხელმოწერები შეაგროვა, კახეთის ცხოველთა მართვის სააგენტოს სპეციალისტები გამოიძახა, მონიტორინგის ჯგუფმა კი ძაღლი წაიყვანა. ამჯერად ოჯახი სააგენტოს უჩივის და ძაღლის დაბრუნებას ითხოვს. საჩივრები შესულია როგორც შსს-ში, ისე ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებში. ნადირაშვილები ოჯახის ერთგული მეგობრის დაკარგვას განიცდიან, რადგან ძალიან უყვარდათ. სააგენტო ამბობს, რომ ძაღლი სხვაგან გაუშვეს, თუმცა ვერ დააკონკრეტეს - სად. ოჯახი კი მიიჩნევს, რომ შესაძლოა მათი ოთხფეხა მეგობარი სააგენტომ დააძინა.**

12 იანვარს იზო კობიაშვილმა საჩივარი შეიტანა შს დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონული სამმართველოს არხილოსკალოს განყოფილებაში. განცხადება გამომძიებელ იმედა თაგოშვილს დაეწერა.

**იზო კობიაშვილი:** „დაკბენის მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, 21 დეკემბერს გურჯაანის ცხოველთა თავშესაფრიდან მოგვაკითხეს და გვითხრეს, რომ საჩივრის გამო ძაღლი უნდა წაეყვანათ. ვთხოვეთ, რომ დავაბამდით, გარეთ აღარ გავუშვებდით და აღარ წაეყვანათ. არ გაითვალისწინეს და ძალის გამოყენებით, ჩვენი ნებართვის გარეშე სულ თრევით გაიყვანეს გასისხლიანებული ძაღლი. **დაგვპირდნენ, 10 დღე დავაკვირდებით, იზოლირებულად იქნება, კასტრაციას ჩავუტარებთ, შემდეგ დაგიბრუნებთ** და დააბითო. 21 დეკემბრიდან ვრეკავთ სააგენტოში, რომ მდგომარეობა გაგვეგო, არავინ გვპასუხობდა. ახალი წლის შემდეგ გურჯაანში წავედით ძაღლის სანახავად, მაგრამ ეზოშიც არავინ შეგვიშვა. დავბრუნდით დედოფლისწყაროში, გავიგეთ ცხოველთა სააგენტოს დირექტორის ტელეფონი, რომელმაც გვითხრა, რომ წაყვანიდან სამ დღეში ყველანაირი პროცედურის ჩატარების შემდეგ ჩვენი ძაღლი დედოფლისწყაროში დააბრუნეს და გაუშვეს. დაგვპირდა, რომ მოძებნაში დაგვეხმარებოდა, თუ მონიტორინგის ჯგუფს გამოვიძახებდით. გამოვიძახეთ, მივედით მითითებულ ადგილას, მაგრამ ეკიპაჟმა გვითხრა, მანქანა გაგვიფუჭდა, ვერ მოვალთო. დაჟინებით ვითხოვდით მათ მოსვლას, მაგრამ გაირკვა, რომ ისინი სხვა პიროვნებები იყვნენ და მათ არც წაყვანაში მიუღიათ მონაწილეობა და არც მის გაშვებაში. უკანონოდ მოექცნენ ჩვენს ოჯახსაც და ძაღლსაც. გაშვებითაც ისე გაუშვეს, კვალი დაიკარგა, არ დაგვეხმარნენ მოძებნაშიც“.

ძაღლის მეპატრონე ნოდარ ნადირაშვილია, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთაა, ძაღლი კი სამთაწყაროში, მის მშობლებთან იყო მიბარებული.

„სააგენტოს თანამშრომლებმა სახლიდან უკანონოდ გაიყვანეს ძაღლი, რომელმაც ნოემბერში მეზობელს უკბინა. სავარაუდოდ, დააძინეს. კანონდარღვევაა, როცა ძალისმიერი მეთოდით მიჰყავთ ძაღლი, კანონდარღვევაა ისიც, რომ პატრონიანი ძაღლი სხვაგან არ უნდა წაიყვანონ და უნდა დაუბრუნდეს პატრონს. მას შემდეგ ვეძებთ ცუგას.“ – უყვება „შირაქს“ ოჯახის მეგობარი, ცხოველთა უფლებადამცველი ნანა ჯანიძე.

ინტერმუნიციპალური სააგენტოს დირექტორი თეიმურაზ ზავრაშვილი ბრალდებას აბსურდულს უწოდებს და განმარტავს, რომ ისინი კანონის საწინააღმდეგოდ არ მოქმედებენ და არც ძაღლი წაუყვანიათ ძალის გამოყენებით, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ოჯახს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

„პროცესი დაიწყო დაახლოებით 3 თვის წინ. ამ ძაღლმა დაგლიჯა ქალბატონი. გამოძახებული იყო სასწრაფო დახმარება, დაედო ნაკერები და ა.შ. ამის შემდეგ სოფელმა მიმართა ოჯახს, რომ ძაღლი დაებათ, ან ვოლიერი გაეკეთებინათ და მოევლოთ ცხოველისთვის. სოფელში ხალხს გავლა უჭირდა, ნეგისმიერს მისდევდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ბავშვი იყო თუ უფროსი. ვინაიდან მათ არანაირი ზომები არ მიიღეს, მოსახლეობა იძულებული გახდა და შსს-ს მიმართა წერილით, რომელიც მერიას გადაეგზავნა. ამჟამად ეს წერილი თან ახლავს მიმართვას, რომელიც დოკუმენტებთან ერთად ინახება. მერიიდან რამდენჯერმე დაგვირეკეს, გვთხოვეს დახმარება. გავაგზავნეთ ეკიპაჟი, ეს იყო დაახლოებით თვენახევრის წინ. ეკიპაჟს უკან მიჰყვებოდა პატრული. მაგრამ პატრულის ჩარევა არ გახდა საჭირო. თვითონ მეპატრონემ ჩაუსვა მანქანაში/გალიაში ძაღლი და წამოვიყვანეთ,“ – ამბობს სააგენტოს ხელმძღვანელი, თეიმურაზ ზავრაშვილი.

რაც შეეხება ძაღლის სხვა ტერიტორიაზე გაშვებას, სააგენტოს დირექტორი ამბობს, რომ **კანონით, აგრესიულ ძაღლებს ლოკაცია უნდა შეუცვალონ და სხვა ტერიტორიაზე გაუშვან.** „რაც საჭირო იყო, ძაღლს ყველა პროცედურა ჩავუტარეთ. როგორც წესია, ჩვენთან **მოხდა მისი სტერილიზაცია-კასტრაცია, ცოფზე აიცრა და დარჩა დაახლოებით 10 დღე. წინასაახალწლოდ, ყველა ძაღლი დავაბრუნეთ იმ ადგილზე, საიდანაც ისინი წამოვიყვანეთ გარდა იმ ძაღლებისა, რომლებისთვისაც ადგილის შეცვლა იყო საჭირო. ძაღლს ყოველთვის ვაბრუნებთ იმ ადგილზე, საიდანაც მოგვყავს, მაგრამ იმ შემთხვევაში, რა შემთხვევაც აქ იყო, ანუ, როდესაც ძაღლი აგრესიით გამოირჩევა, ვალდებულნი ვართ, შევუცვალოთ ადგილი. შეიძლება იქ რაღაც არ მოსწონდა, ან ვიღაცამ გააღიზიანა და გახდა აგრესიული. ამიტომ გავუშვით სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, სადაც ახლომახლო არის მეცხვარეების ბინები. არ შეიძლება, რომ ძაღლი დაუსახლებელ ადგილას გაუშვა, რადგან მან უნდა მოიპოვოს საკვები.**

ამ ძაღლის მეპატრონის მშობლებს უნდათ, რომ ძაღლი დაიბრუნონ, მაგრამ ჩემი ორგანიზაცია არ არის იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ მის მოსაძებნად ეკიპაჟი გავუშვა. თან ისეთი დიდი ტანის ძაღლია, რომ არ არის გამორიცხული, მეცხვარეებს ბინაზე მიადგა და მათ წაიყვანეს. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ მე რაც მევალებოდა, ის გავაკეთე კანონის ფარგლებში,“ – აღნიშნავს თეიმურაზ ზავრაშვილი და დაძინების შესახებ ეჭვსაც კი გამორიცხავს. მისი თქმით, ცხოველების დაძინება მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში ხდება, მაშინ, როცა მათი განკურნება შეუძლებელია.

ოჯახი კი ამბობს, რომ ისინი დანებებას არ აპირებენ და საჩივრით უკვე მიმართეს პოლიციას, დახმარებისთვის კი – ცხოველთა დაცვის ორგანიზაციას.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# ვირტუალური სამყარო — მიჯაჭვულობა თუ სიკეთეების ერთიანობა?

***თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაში ვირტუალურმა ურთიერთობებმა დიდი ადგილი დაიკავა, რაშიც მნიშვნელოვან როლს სოციალური ქსელები, მათ შორის Facebook, ასრულებს. აღნიშნული სოციალური ქსელი ადამიანთა უმრავლესობისთვის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ადამიანები ისე გახდნენ Facebook-ზე დამოკიდებულები, რომ ეს ვერც კი გაიაზრეს. „Facebook-ზე მიჯაჭვულობა“ დიდი პრობლემაა, რაც ადამიანებს რამდენიმე მიმართულებით აზარალებს, მაგრამ, მთავარი ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანია. სანამ ამ ზიანზე ვისაუბრებდეთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ინტერნეტის მიერ გამონვეულ სიკეთეებსაც.***

ინტერნეტი სხვა საკომუნიკაციო არხებთან შედარებით, საკმაოდ ეფექტური მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელების საშუალებას იძლევა. სწორედ ინტერნეტში ფოკუსირდება სოციალური ქსელების მრავალფეროვნება. სოციალურმა ქსელებმა გარკვეულ ჯგუფებში გააერთიანა ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთთან მეგობრობა აკავშირებთ, აქვთ ერთნაირი ფასეულობები, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე მსგავსი შეხედულებები, ერთმანეთთან ვაჭრობენ, სხვადასხვა სახის გარიგებებს დებენ და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ქსელები წარმოადგენს ისეთ ვებგვერდებს, რომელთაც თვითონ მომხმარებლები ქმნიან ერთმანეთთან ურთიერთობების დასამყარებლად.

თუმცა, აშკარად გამოიკვეთა სოციალური ქსელებზე მიჯაჭვულობა, რაც, თამამად შეიძლება ითქვას, ადამიანებს სიკეთეს არ მოუტანს. არა მარტო მკვლევარები, არამედ ფართო საზოგადოების წევრებიც მთელ მსოფლიოში აქტიურად ალაპარაკდნენ იმის თაობაზე, რომ ადამიანები Facebook-ს ძალიან მიეჯაჭვნენ და მის გარეშე ვერ ძლებენ. მკვლევარებმა ასეთი ტერმინიც კი შემოიღეს - „Facebook-ზე დამოკიდებულება“. ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ მას „Facebook-ზე მიჯაჭვულობას“ ვუწოდებთ. ამ ტერმინით მკვლევარები Facebook-ის გადაჭარბებულ გამოყენებაზე მიუთითებენ, რაც, ჩვენი აზრით, არ არის პატარა პრობლემა, თუმცა, ამას ხშირად ადამიანები ვერ ამჩნევენ. „ადამიანს ნელ-ნელა გამოსწოვს სიცოცხლეს“ და ამის გამო „ექიმებს მხედველობიდან რჩებათ“. Facebook-ის ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების გარკვევა და მისი დაძლევის გზების გამოძებნა ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების საზრუნავია, მარკეტინგის სპეციალისტების ამოცანა კი ის არის, რომ დაადგინონ ადამიანის Facebook-ზე დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორები და მათი გავლენით ადამიანის ქცევაში მომხდარი ცვლილებები. ეს აუცილებელია პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების შესამუშავებლად.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რა უბიძგებს ადამიანებს სოციალური ქსელების და მათ შორის Facebook-ის გამოყენებისკენ. ონლაინგამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ Facebook-ის გამოყენების თავდაპირველი მიზანი, პოტენციურ მომხმარებლებში, საკმაოდ განსხვავებულია. 2019 წელს ჩატარებული გამოკითხვის დროს, რესპონდენტთა დაახლოებით მესამედმა (34,4%) Facebook-ის გამოყენება გადაწყვიტა სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დასამყარებლად; დაახლოებით მეოთხედისთვის (19, %) კი აღნიშნული სოციალური ქსელი მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღების წყარო აღმოჩნდა. გამოკითხულთა 14,1%-მა Facebook გართობის საშუალებად ჩათვალა. ეს სოციალური ქსელი ზოგს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად დასჭირდა (6,2%), ზოგიც (5,7%) უბრალოდ დაინტერესდა Facebook-ით. ე.ი. ადამიანთა უმეტესობამ Facebook კომუნიკაციის საშუალებად ჩათვალა. კორონავირუსული პანდემიის პირობებში Facebook-ის გამოყენების დანიშნულება ადამიანებმა სხვა თვალით დაინახეს. გაიზარდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთა შეხედულებითაც Facebook-ის მიზანი გართობა (50%) და ინფორმაციის მიღებაა (83%). მაშასადამე, Facebook-ის გამოყენების მიზანი შეიძლება შეიცვალოს ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესაბამისად. სახლში დარჩენის აუცილებლობამ ადამიანებში გაზარდა ვირტუალური გართობისა და ვირტუალური გზით ინფორმაციის მიღების მიმართ მოთხოვნილება. მაშასადამე, Facebook-ი უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების საჭიროებებთან (კომუნიკაცია, ინფორმაციის მიღება, გართობა, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება), რითაც, გარკვეულწილად, აიხსნება კიდეც ადამიანების აღნიშნულ სოციალურ ქსელზე დამოკიდებულება. მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ადამიანებმა ზომიერების გრძნობა არ დაკარგონ.

აღმოჩნდა, რომ ქართველ მომხმარებლებში აღნიშნული მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია. რესპონდენტთა უმეტესობა ფაცებოოკ-ს დღეში რამდენჯერმე სტუმრობს - 61,3%, ზოგი კი მთელი დღის განმავლობაში ფაცებოოკ - შია ჩართული -28,1%, რაც მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში უძრავ მდგომარეობაში, ფიზიკური აქტივობის გარეშე, იმყოფება. ამასთან, იმავდროულად, თვალიც დაძაბულია. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ფაცებოოკ-ზე მიჯაჭვულობას ყველაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა ადამიანის ფსიქიკაზე შეუძლია. თუმცა, ამის შესახებ ჩვენი მსჯელობა ვერ იქნება კომპეტენტური.

Facebook-ით მიღებული ინფორმაცია, როგორც პირადი დაკვირვება და ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის გაცნობა გვიჩვენებს, ხშირად რეალობას მოწყვეტილია. ეს კარგად იცის ადამიანთა დიდმა ნაწილმა, მაგრამ აღნიშნულ სოციალურ ქსელს მაინც აქტიურად იყენებს. 2019 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეთა მხოლოდ მეოთხედზე ნაკლებმა (21,7%) ჩათვალა აღნიშნული სოციალური ქსელიდან მიღებული ინფორმაცია ღირებული, გამოკითხულთა 73,3%-ისთვის ის ნაწილობრივ ღირებული აღმოჩნდა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა კორონავირუსული პანდემიის პირობებში ჩატარებული გამოკითხვის დროსაც, რაც ჩვენ მოსაზრებასაც დაემთხვა. გამოკითხულთა მხოლოდ 15%-მა ჩათვალა ფაცებოოკ-ით მიღებული ინფორმაცია ღირებულად, 75%-ისთვის კი ის ნაწილობრივ ღირებული აღმოჩნდა. კითხვაზე, მაინც რა სახის ინფორმაციას სთვლიან ადამიანები ღირებულად, ასეთი შედეგები დაფიქსირდა: გამოკითხულმა მომხმარებლებმა ღირებულად, პირველ რიგში, ჩათვალეს საგანმანათლებლო ინფორმაცია (30,4%) და ახალი ამბები (24,9%); გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვის (13,4%) ღირებული გასართობი ინფორმაცია აღმოჩნდა; რესპონდენტებმა განსაკუთრებით მკაცრად შეაფასეს Facebook-დან მიღებული პოლიტიკური ინფორმაციის ღირებულება - მხოლოდ 1 %-მა ჩათვალა პოლიტიკური ინფორმაცია ღირებულად. როგორც ჩანს, Facebook-ის მომხმარებლების ნაწილს კარგად ესმის, რომ ეს სოციალური ქსელი ძალიან ბევრ დროს აკარგვინებს ადამიანს, მაგრამ, იმავდროულად, ინფორმაციის მიღების წყაროსაც წარმოადგენს. გამომდინარე აღნიშნულიდან, Facebook-ის როლი ადამიანთა ცხოვრებაში დადებითად შეაფასა რესპონდენტთა 40,1%-მა, უარყოფითად 14,3%-მა, ხოლო 45,6%-ს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა. მაშასადამე, ფაცებოოკ-ის როლს ადამიანთა ცხოვრებაში მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დადებითად აფასებს, საკმაოდ დიდ ნაწილს ამაზე არ უფიქრია და არც თავისი დამოკიდებულება აქვს გარკვეული. კორონავირუსული პანდემიის პირობებში ფაცებოოკ-ის მიმართ დადებითად განწყობილი ადამიანების რაოდენობა გაიზარდა (გამოკითხულთა 51%), ხოლო უარყოფითად განწყობილებისა კი შემცირდა (გამოკითხულთა 11%). რესპონდენტთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა (38%) თავისი შეხედულება, კორონავირუსული პანდემიის პირობებში, Facebook-ის როლის შესახებ ვერ დააფიქსირა.

და მაინც, ქართველ მომხმარებლებს Facebook მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ ის არ უნდა გაუქმდეს. კითხვაზე, საშუალება რომ ჰქონდეთ, გააუქმებდნენ თუ არა Facebook-ს, 2019 წელს ჩატარებული გამოკითხვის დროს, რესპონდენტთა 79,3%-მა უარყოფითი პასუხი გასცა. Facebook-ის მიმართ დამოკიდებულების საკითხზე გამოქვეყნებული შრომებისა და ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდა შემდეგი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დასკვნების გაკეთება:

****ინტერნეტის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ადამიანებს შორის, რეალურთან ერთად, ვირტუალური ურთიერთობების განვითარება. ინტერნეტის გამოყენების არეალის გაფართოებასთან ერთად სოციალური ქსელების მოქმედების არეალიც ფართოვდება. ამასთან, იზრდება სოციალურ ქსელებში ჩართული ადამიანების რაოდენობა, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ისე საქართველოში.***

****სოციალური ქსელებიდან ქართველი მომხმარებლების უმეტესობა უპირატესობას Facebook-s ანიჭებს.***

****Facebook-ის გამოყენებამ ცალკეულ ადამიანებს ბევრი დადებითი შედეგი მოუტანა. მათ შესაძლებლობა მიეცათ, დაეკონტაქტონ ერთმანეთს ვირტუალურად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვრგარეთ, მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, გაერთონ და ამისთვის დროც დაზოგონ და ფინანსური საშუალებებიც. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი საქართველოსთვის, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში იმყოფება.***

****Facebook-ის გამოყენებამ, ბუნებრივია, დადებითი შედეგები ბიზნესსაც მოუტანა. კომპანიებს მისი მარკეტინგული მიზნით გამოყენების დიდი შესაძლებლობები შეუქმნა. პერსპექტივაში შესაძლებელია ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გააქტიურება.***

არსებობს სოციალური ქსელებიდან ადამიანთა „დასახსნელად“ მთელი რიგი კვლევები, რომელთა შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა, შესაბამისი სპეციალისტების მიერ, ვფიქრობთ, დადებით შედეგებს მოიტანს. ბოლო პერიოდში საქართველოში ფაცებოოკ-ის გამოყენებელთა რაოდენობა მცირედით, მაგრამ შემცირდა. ჩვენი აზრით, ეს დადებითად უნდა შეფასდეს იმ შემთხვევაში, თუ გართობის მიზნით ფაცებოოკ-ის გამოყენებელთა რაოდენობა შემცირდება. საჭიროა ამ ფაქტის გამოკვლევა.

**მოამზადა** ხათუნა გენაშვილმა

# რა ვიცით თურქეთსა და სირიაში მომხდარ მიწისძვრაზე?

***7.8 მაგნიტუდის მიწისძვრა თურქეთსა და სირიაში, 6 თებერვალს მოხდა. რამდენიმე საათის შემდეგ რეგიონში მიწისძვრა განმეორდა, ამჯერად 7.6 მაგნიტუდის. ორივე ქვეყანაში ათეულობით ათასი დაღუპულია და ეს რიცხვები ყოველდღიურად იზრდება.***

აშშ-ს გეოლოგიური სამსახურის ცნობით, ბიძგების სიღრმე 18 კილომეტრი იყო და ეპიცენტრი სამხრეთ თურქეთსა და სირიის ჩრდილოეთ საზღვართან არის.

ორ ქვეყანაში ბიძგები განმეორდა. პირველი 11 საათის განმავლობაში რეგიონში 13 მნიშვნელოვანი განმეორებითი მიწისძვრა მოხდა, თითოეული 5 მაგნიტუდის.

„განმეორებითი მიწისძვრები მოსალოდნელია, ველით მომდევნო კვირებსა და თვეებში“. - აღნიშნა გეოლოგმა, ალექს ჰატემმა.

მკვლევრების განმარტებით, მიწისძვრის ცენტრში ორი ტექტონიკური ფილა ერთმანეთს ჰორიზონტალურად ეხახუნება. მისურის უნივერსიტეტის სეისმოლოგმა, ერკ სენდვოლმა პროცესის ახსნისას აღნიშნა, რომ დედამიწა დაყოფილია 7 განსხვავებულ ნაწილად, „დაახლოებით ისე, როგორც ფაზლი“.

ეს ნაწილები ერთმანეთს ნასხლეტებთან ხვდება, სადაც ფილები, როგორც წესი, ნელა ეხახუნება ერთმანეთს. თუმცა მას შემდეგ, რაც საკმარისი ენერგია გროვდება, ისინი ამ დიდი რაოდენობის ენერგიის გათავისუფლებას ცდილობენ. ამ შემთხვევაში ერთი ფილა აღმოსავლეთით გადაადგილდა,




მეორე კი დასავლეთისკენ. დროთა განმავლობაში ბიძგები ნელდება და ნაკლებად ხშირი ხდება.

თურქეთის რეგიონი სეისმურად აქტიურია, რადგან სწორედ მის ტერიტორიაზე გადის ორი ძირითადი ნასხლეტი (ფილების გამყოფი ხაზი). აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის მონაცემებით, ბოლო ერთი დღის განმავლობაში თურქეთში 60-ზე მეტი მიწისძვრა მოხდა - თითოეული 2.5 მაგნიტუდაზე მეტის.

### რაბომ მოხდა იქ

თურქეთის ეს ზონა მიწისძვრებისკენ არის მიდრეკილი, რადგან მდებარეობს დედამიწის ქერქის შემადგენელი სამი ტექტონიკური ფილის გადაკვეთაზე: ანატოლიის, არაბეთის და აფრიკის ფილების. არაბეთის ფილა ჩრდილოეთით, ევროპის მიმართულებით მოძრაობს და ანატოლიის ფილას (რომელზეც თურქეთი მდებარეობს) დასავლეთით გადაადგილებას აიძულებს.

ტექტონიკური ფილების მოძრაობა წნევას წარმოქმნის მათ საზღვრებთან არსებულ რღვევის ზონებში. მიწისძვრებს სწორედ ამ წნევის უცაბედი გამოთავისუფლება იწვევს.

ეს მიწისძვრა სავარაუდოდ იმ ერთერთ დიდ ნარღვევზე მოხდა, რომელზეც გადის საზღვარი ანატოლიისა და არაბეთის ფილებს შორის: ან ანატოლიის რღვევაზე, ან მკვდარი ზღვის რღვევაზე.

ორივე მათგანი ე. წ. დარტყმა-სრიალის რღვევებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთის წინ მოძრავ ფილებში გარკვეულ რყევებს იწვევენ.

### გაცილებით დიდი,ვიდრე წინა მიწისძვრები

მიუხედავად იმისა, რომ ტექტონიკური ფილების გამუდმებული მოძრაობის გამო ამ რეგიონში ყოველწლიურად მრავალი მიწისძვრა ხდება, 6 თებერვლის მიწისძვრა განსაკუთრებით ძლიერი და გამანადგურებელი იყო, რადგან გამოთავისუფლდა ძალიან ბევრი ენერგია.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის (USGS) განცხადებით, ეპიცენტრიდან 250 კილომეტრის რადიუსში, 1970 წლის შემდეგ, 6 მაგნიტუდაზე მძლავრი მხოლოდ სამი მიწისძვრა მოხდა.

6 თებერვლის 7,8-მაგნიტუდიანი მიწისძვრა გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ამ რეგიონში აქამდე მომხდარი ნებისმიერი სხვა; გამოთავისუფლდა იმაზე ორჯერ მეტი ენერგია, ვიდრე ამ რეგიონის წინა ყველაზე დიდი მიწისძვრისას (7,4 მაგნიტუდა).

თანამედროვე სეისმოლოგები მაგნიტუდის სკალას იყენებენ, რომელიც ასახავს მიწისძვრის შედეგად გამოთავისუფლებული ენერგიის რაოდენობას (რიხტერის სკალა მოძველებულია, მაგრამ მედიაში ხანდახან მაინც გაიგონებთ).

ეს სკალა არაწრფივია: თითოეული ნიშნული შეესაბამება ენერგიის 32-ჯერ ზრდას. ეს იმას ნიშნავს, რომ 7,8 მაგნიტუდის მიწისძვრისას 6000-ჯერ მეტი ენერგია გამოთავისუფლდა, ვიდრე საშუალო სიმძლავრის, 5 მაგნიტუდის მიწისძვრებისას, როგორებიც ამ რეგიონში ხშირად ხდება.

რატომღაც ხშირად გვგონია, რომ მიწისძვრის ენერგია ერთი ადგილიდან, იგივე ეპიცენტრიდან მოდის, მაგრამ სინამდვილეში, ის გამოწვეულია რღვევის ზონის გასწვრივ მოძრაობის შედეგად. რაც უფრო დიდია მიწისძვრა, მით უფრო დიდად არის გადაადგილებული რღვევის ზონა.

7,8 მაგნიტუდის მიწისძვრის გამოსაწვევად, სავარაუდოა, რომ მოძრაობა მოხდა 190 კილომეტრის სიგრძისა და 25 კილომეტრის სიგანის ზონაში. ეს იმას ნიშნავს, რომ რყევა ძალიან დიდ ზონაში უნდა ყოფილიყო შესაგრძნობი.

### აფთერშოკები

დიდი მიწისძვრის შემდეგ ხდება მრავალი პატარა მიწისძვრა, რომლებსაც აფთერშოკებს უწოდებენ; მიზეზი




ის არის, რომ ქერქი დაძაბულობაში მომხდარ ცვლილებებს ხელახლა ერგება. ასეთი ბიძგები ძირითადი მოვლენიდან რამდენიმე დღე ან წელიწადიც კი შეიძლება გაგრძელდეს.

პირველი ბიძგიდან 12 საათის განმავლობაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში 6 მაგნიტუდაზე მეტი სიმძლავრის სამი მიწისძვრა დაფიქსირდა. პირველი ბიძგი 6,7 მაგნიტუდის იყო და პირველი შოკიდან 11 წუთის შემდეგ მოხდა; ასევე დაფიქსირდა მცირე მაგნიტუდის ასობით სხვა აფთერშოკი.

გვიან დილით, ჩრდილოეთით კიდევ ერთი დიდი მიწისძვრა მოხდა სხვა, მაგრამ მიმდებარე რღვევის სისტემაზე – სურგუს რღვევაზე.

ტექნიკურად ეს ბიძგი საკმარისად მძლავრი იყო, რომ ცალკე მიწისძვრად ჩაითვალოს, მაგრამ დიდი ალბათობით, გამოწვეულია პირველი მიწისძვრით და თავის მხრივ, საკუთარ აფთერშოკებს ისიც გამოიწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, აფთერშოკები ძირითად შოკზე მნიშვნელოვნად სუსტებია, ზოგჯერ მათაც ისეთივე გამანადგურებელი შედეგები აქვთ, რადგან კიდევ უფრო აზიანებენ პირველი ბიძგის შედეგად უკვე დაზიანებულ ინფრასტრუქტურას.

უფრო დიდი მიწისძვრები ნაკლებად ხშირია, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მოვლენაა. გასული წლის ნოემბერში თურქეთში 5.9 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა, 2020 წლისთვის კი ეგეოსის ზღვაში თურქეთსა და საბერძნეთს შორის 7.0 მაგნიტუდის.

თურქეთმა 2000 წელს შეცვალა მშენებლობის წესები. უკანასკნელი მიწისძვრისას, ძირითადად, ძველი შენობები დაზიანდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი თურქეთის სამხრეთით იყო, სადაც ბევრი ძველი შენობაა. სირიაში კი სწრაფმა მშენებლობებმა და მრავალწლიანმა ომმა ნაგებობები სტრუქტურულად დაუცველი დატოვა.

მაშველები ორივე ქვეყანაში ასობით შენობის ნანგრევებში ჩარჩენილი ადამიანების გადასარჩენად იბრძვიან. თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის თქმით, ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის ვარაუდი, თუ რამდენად გაიზრდება დაღუპულთა რაოდენობა.

* * *

**ყველაზე დიდი მიწისძვრა ჩილეში – 9.4–9.6 მაგნიტუდის, 1960 წელს მოხდა. ეს მიწისძვრა სუბდუქციური იყო, რომლის დროსაც ერთი ფილა მეორის ქვეშ მოექცა, რაც ძლიერი ენერგიის გამოდევნას იწვევს.**

**ბოლო 10 წლის მომაკვდინებელი მიწისძვრები:**

**2022:** ავღანეთში, დაილუპა 1 000-ზე მეტი ადამიანი, 6.1 მაგნიტუდა

**2021:** ჰაიტიში, დაილუპა 2 200 ადამიანი, 7.2 მაგნიტუდა

**2018:** ინდონეზია, დაილუპა 4 300 ადამიანი, 7.5 მაგნიტუდა

**2015:** ნეპალში, 8 800 ადამიანი დაილუპა, 7.8 მაგნიტუდა

**2011:** ჩრდილოეთ იაპონია, რამაც ცუნამი გამოიწვია და დაილუპა 20 000-მდე ადამიანი, 9.0 მაგნიტუდა

**2010:** ჰაიტიში, 316 000 ადამიანი დაილუპა, 7.0 მაგნიტუდა

# არხილოსკალოში ლაშა ბექაურის ძიუდოს დარბაზის მშენებლობა გრძელდება

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დაპირება ხორცს ისხამს. სოფელ არხილოსკალოში ძველი კულტურის სახლის შენობა უკვე დაანგრიეს და მის ნაცვლად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს. ტენდერი თავდაპირველად 2 424 000 ლარზე გამოცხადდა, თუმცა გამარჯვებულმა კომპანიამ ვალდებულების შესრულების პირობა 2 278 444 ლარად დადო, შედეგად ბიუჯეტმა 145 556 ლარი დაზოგა. ღარიბაშვილი ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ბექაურთან სოფელში სტუმრობის დროს არხილოელებს დაპირდა, რომ მალე ახალ დარბაზს ააშენებდნენ.**



როგორც „შირაქმა“ გაარკვია, დარბაზის სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა და მათ მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს „ბინექსმა“ გაიმარჯვა. მათ არხილოსკალოს მულტიფუნქციური სპორტული დარბაზის შენობა 2025 წლის 31 დეკემბრამდე უნდა ჩააბარონ.

არხილოსკალოელები ამბობენ, რომ სოფელში სპორტული დარბაზი არასოდეს ყოფილა. ჩვენი ინფორმაციით, დარბაზის დაპროექტების დროს თავად ლაშა ბექაურის მოსაზრებები გაითვალისწინეს და მეორე სართულზე საკონფერენციო დარბაზისა და დამხმარე ოთახების მაგიერ სასტუმრო ოთახები განთავსდება, რათა ტურნირებზე ჩამოსული სპორტსმენების მასპინძლობა შეძლონ.

**კახა წიკლაური (მწვრთნელი):** „არხილოსკალოში არანაირი დარბაზი არ ყოფილა, არც კომუნისტების დროს, ეს პირველი იქნება და დიდი მოლოდინი გვაქვს. როგორც იცით, ამავე ადგილას კულტურის სახლის შენობა იყო, რომელიც გასულ წელს დაანგრიეს და მშენებლობა დაიწყეს. როცა კულტსახლი მოქმედებდა, მაშინ ჩემი თაობა სცენაზე ვარჯიშობდა, გივი ლაზვიაშვილი გვამეცადინებდა. თუ ღონისძება ან კინოჩვენება არ იყო დაგეგმილი პირდაპირ სცენაზე გავშლიდით ხოლმე ლეიბებს და ისე ვვარჯიშობდით, შემდეგ ისევ ავკეცავდით. 60-70-იან წლებში სკოლაში მოქმედებდა უკეთესი დარბაზი, რომელიც შემდეგ დაინგრა. მე ვერ მოვესწარი. მიუხედავად იმისა, რომ ინვენტარი, ხელშეწყობა და პირობები არ გვქონდა, ჩემი თაობა მაინც ხშირად ახერხებდა წარმატების მიღწევას.

2016 წლიდან ზემო ქედის დარბაზში გადავედით, რადგან არხილოსკალოს სკოლაში ვიწროდ ვიყავით და გაზრდილ ნაკადს იქ ვერ დავტევდით, თანაც ზემო ქედში ახლა უკეთესი პირობებია და ტარება გვიღირს. ახლა ზემო ქედში დავდივართ, იქ ტატამი ძველი დაგვხვდა, საჭიდაო ხალიჩა კი ახლახან გვაჩუქა ხელისუფლებამ. ამ ეტაპზე ძიუდოში 60-ზე მეტი ახალგაზრდა ვარჯიშობს. ძიუდოს მიმართ ინტერესი გაზრდილია. დიდ კონტიგენტს კი ერთი მწვრთნელი ვერ აუვა. უკეთესი ხარისხი რომ მივიღოთ, კიდევ ორი მწვრთნელის დამატების საჭიროება გვიდგას და არსებობენ ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ მწვრთნელად მუშაობის სურვილი და კომპეტენციაც. ერთი არხილოელი ახალგაზრდაა, რომელმაც ძიუდოს აკადემიაში უცხოელმა სპეციალისტებმა ერთწლიანი სამწვრთნელო კურსი გაატარეს, მეორე ზემო ქედელი ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდებში, მასაც დიდი სკოლა აქვს გავლილი. მეც დიდი სურვილი მაქვს, რომ ახალგაზრდა მწვრთნელები დავიმატოთ, ახალგაზრდული ენერგია უკეთესია. გვინდა, მეტი მოზარდი ჩავრთოთ და ყველაფერი უფრო ახალგაზრდული გავხადოთ.

ძირითადად არხილოსკალოს, ზემო და ქვემო ქედის ბავშვები ვარჯიშობენ, თუმცა, ახლახან 5 სამთაწყაროდან, 10 კი სოფელ ფიროსმანიდან დაგვემატა და ყოველდღიურად ახერხებენ იქიდან ამოსვლას. კვირის გარდა ყოველდღე ვვარჯიშობთ და დიდი გეგმები გვაქვს. 2001 წლიდან ვასწავლი, 24 საქართველოს ჩემპიონი გავზარდე, ბოლოს არხილოსკალოელი ნიკა ხუზაურაშვილი გასულ თვეში გახდა საქართველოს ჩემპიონი. ექვსმა დიდ სპორტში იჭიდავა. ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური მე გავზარდე და კიდევ რამდენიმე, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორები, ფინალისტები. ლაშას დონე ჯერ ვერავინ აჩვენა, მაგრამ ყველაფერი წინ გვაქვს.

**როგორც ვიცი, ახალ დარბაზს ლაშა ბექაურის სახელი მიენიჭება, ძირითადი მიმართულება ძიუდოა, მაგრამ სპორტის სხვა სახეობებიც იქნება. ამისათვის საჭირო სხვა ინვენტარი გათვალისწინებულია და თუკი სურვილიც იქნება და კადრიც მოინახა, ალბათ სხვა წრეებიც იმოქმედებს. პირველ სართულზე იქნება დიდი დარბაზი, რომელშიც თავისუფლად დავეტევით და განვითარების მეტი შესაძლებლობა გვექნება. სამი წელი გაგრძელდება ეს პროცესი და გვპირდებიან, რომ მალე დაასრულებენ.** როცა შენობა დაპროექტდა, ლაშას სურვილები მაქსიმალურად გაითვალისწინეს, მეორე სართულზე სამი ოთახის ნაცვლად იქნება ხუთი სასტუმრო ოთახი. პირველ სართულზე გათვალისწინებულია საშხაპეები, გასახდელი და დიდი დარბაზი ორი ტატამით. 120 კვადრატი დარბაზი, ასევე 120 მაყურებელზე გათვლილი დასაჯდომი ადგილი. ლაშას უნდოდა, რომ საკონფერენციოს ნაცვლად სტუმრებისთვის

გვქონოდა ადგილი“.

**ნიკა ხუზაურაშვილი** *(ძიუდოისტი არხილოსკალოდან):* „ძალიან მიხარია ახალი დარბაზის მშენებლობა რომ დაიწყო, ეს ყველა არხილოსკალოელის ოცნება იყო. რა თქმა უნდა, ამ შენობის ამოქმედებით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება თითოეულ ჩვენგანს წარმატების მისაღწევად. არ გვქონდა დარბაზი, წლების განმავლობაში სკოლის ერთ-ერთ პატარა ოთახში გვიწევდა ვარჯიში, სადაც ნორმალური ტატამიც არ გვქონდა. ვარჯიშობდით რბილ, საწოლის ლეიბებზე, მაგრამ კახა მასწავლებელი ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ სად და როგორ პირობებში მოგვიწევდა ვარჯიში, ეს იყო მნიშვნელოვანი, მთავარია მიზანი და ამ მიზნისთვის უნდა გვებრძოლა. აი ამის კარგი მაგალითია ლაშა ბექაური. რაც შეეხება ჩვენს მწვრთნელს, კახა წიკლაურს, მას რაც შეეძლო ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს თითოეული ჩვენგანისთვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ. ყოველდღე ერთი სოფლიდან მეორე სოფელში სავარჯიშოდ თავისი მიკროავტობუსით დავყავართ. ძალიან დიდი მადლობა მას ამ ყველაფრისთვის.“

**თენგო გაშარული** *(ძიუდოისტი ზემო ქედიდან):* „ჯანსაღი ცხოვრების წესი მიყვარს და ამიტომაც ძიუდოზე დავდივარ. წარმატებებიც მაქვს. მნიშვნელოვანია, როცა მოზარდი იწყებს ვარჯიშს და მეტად ვითარდება. სპორტული ცხოვრება ენერგიას მმატებს და ადამიანი უფრო ძლიერდება, კარგ დარბაზს და ხელშეწყობას შეუძლია მონდომებული ახალგაზრდა უფრო მეტად განავითაროს, მეტი მოტივაცია მისცეს და უკეთესი შედეგი დადოს“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# საქმე ბიჭიკოსეულად...

***„ასე შევრჩი ვარდენს უდიპლომო სასიძო“-ო, გაისმა ტელევიზორში და ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დადგა, აგერ უკვე მერამდენედ: ვარდენს ყველაფერმა გაუარა, აღარც „გიჟად“ მიაჩნდა ვინმეს, მოარჩინეს/უკმურნალეს და გაურკვევლობიდან გამოსულმა, მომავალმა სიძემ მის წინაშე თავიც გამოიჩინა. სიძემ, რომლისგანაც მხოლოდ იმას მოითხოვდნენ რომ ესწავლა, რამე ეკეთებინა, ეშრომა, ქვეყანას და მის მხარეს გამოსდგმოდა. ცდილობდა ბიჭიკო, განა არა, მაგრამ, უბრალოდ თავისებურად. ბიჭიკოსეულად. სხვა ფრონტზე და ფლანგზე. სწორედ ამიტომ, ბიჭიკოსეულმა გამოცდილებამ შეიძლება, ბევრნაირი შემთხვევა გაგახსენოთ.***

არახალია, რომ საქმის კეთება ყველას თავისებურად ესმის და ამ პროცესსაც უცნაური ინტერპრეტაციით ხშირად ვაწყდებით ხოლმე (ნებისმიერ სფეროში). ხანდახან დაუჯერებლადაც კი მიგვაჩნია ესა თუ ის შემთხვევა და ვფიქრობთ, ნამდვილად ჩვენ გადაგვხდა თუ არა თავს. იმდენად, არარეალურად მიგვაჩნია „საქმის მკეთებელთა“ შეხედულებები, ქმედებები თუ მიდგომები, რომ ბიჭიკოსეული მცდელობანი მათთან მოსატანიც კი არ იქნება. ბიჭიკო ცდილობდა მაინც.

ასეთი ბიჭიკოები დღევანდელობაში ბევრნი არიან. ჯანმრთელობის დაცვის, მომსახურების, გადაადგილებისა თუ კომუნიკაციის სფეროში გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი საქმის კეთებას, მაგრამ ამას ბოლომდე მხოლოდ სხვათა დახმარებით თუ ახერხებენ. დავუშვათ, ჯანმრთელობის პრობლემა გაქვთ და მიხვედით ერთ-ერთ დაწესებულებაში. ეუბნებით, რომ თქვენივე სიმშვიდისთვის გჭირდებათ გარკვეული სამედიცინო კონსულტაცია, გჭირდებათ როგორც გამოკვლევა, ასევე მედიკამენტური დახმარება და მომლოდინეთა რიგში იმედით დგებით. განა რა, მანამდე თქვენ ყველაფერი წაკითხული, გააზრებული გაქვთ და გათვითცნობიერებულიც ხართ (არასდროს მოძებნოთ ინტერნეტში თქვენი სიმპტომები), მაგრამ სიმშვიდე გჭირდებათ, მეტი არაფერი. არც ფინანსური ზიანი გინდათ რომ მოგადგეთ და არც სიმშვიდე გინდათ რომ დაირღვიოთ, ელემენტარული პროცედურაა, ყველა რომ ჩვენს საქმეს ვასრულებთ, აი, ისეთი. თქვენი რიგი მოდის, ყველაფერი დალაგებული გაქვთ, რა უნდა თქვათ, როგორ უნდა ახსნათ თქვენი მდგომარეობა, ელოდებით მედ. მუშაკის შემოხედვას, რომ მისი თანაგრძნობის, რჩევის, გვერდით დგომის ოდნავი ნიშან-წყალი მაინც დაინახოთ, მაგრამ ვითარცა ბიჭიკო დაემალა თავის საქმეს, ისე დაიკარგ-დაიმალა შემხვედრი მოლოდინები. ყველაზე დიდი კურიოზი იცით რა არის? ...ანუ ერთი ამოსუნთქვით ყვებით პრობლემას, გართულების ფორმებს, მკურნალობის ეტაპებს და... აღმოჩნდება, რომ საკუთარი თავისთვის ისე გიმკურნალიათ, ვერც გაგიგიათ. ქება დაიმსახუროთ, თუმცა, მკურნალობის თანხის გადახდა მაინც მოგიწიოთ, თან მადლობის თქმაც-ფასდაკლების გამო. შეიძლება დიპლომი არ გქონდეთ კონკრეტულ სფეროში, მაგრამ საკუთარი თავისთვის შველა თავად შეძლოთ, როგორც ბიჭიკომ! საქმე ისაა, რომ ბიჭიკოს ამაში ფული არ გადაუხდია.

ალბათ, გგონიათ, დამთავრდა ამით „ბიჭიკოს გმირობები“? არა. შეიძლება, ქვემოთ აღწერილ სიტუაციაში ყოფილხართ კიდეც...

ვთქვათ, შეხვედით რომელიმე სავაჭრო ობიექტში და რაღაცას ეძებთ. შემდგომი ბიჭიკოც იქვე ზის და გელოდებათ, როდის გააკეთებთ არჩევანს, რა თქმა უნდა, მის სასიკეთოდ. თქვენ ფიქრობთ, ფიქრობთ, ფიქრობთ და იმ დასკვნამდე მიდიხართ, რომ კონკრეტულ პროდუქტს იმ მომენტში ვერ იყიდით. მესმის, ბიჭიკოსაც საქმე აქვს, თქვენი კარგად დამუშავების საქმე, მაგრამ უყურადღებობას და არაპროფესიონალიზმს თავისი გააქვს, არჩევანის თავისუფლებას გიზღუდავთ. უკმაყოფილო ყიდვაზე უარს ამბობთ. „იცით, გასაგებია, ყველაფერი და მოდი, სხვა დროს შემოგვლით“ - ამბობთ მშვიდად, ის კი როყიოდ გეუბნებათ:- „რა არის აბა გასაგები?“. სიტუაციურად, თითქოს საკუთარ თავს იმ მომენტიდან უყურებთ, ფილმში დედა რომ ტუქსავს ჩვენს ბიჭიკოს. ის კი თავჩახრილი დგას, დარცხვენილი. საკუთარი თავის პატივისცემა და მოთმინების უდიდესი უნარი რომ არა, ახალი თაობის ბიჭიკოს, ალბათ, კარგად წაუკითხავდით, მაგრამ უბრალოდ, მადლობის თქმით ამთავრებთ კონტაქტს.

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ: მრავალი ასეთი ბიჭიკო რომ არა, ვერ ვისწავლიდით, რომ საკუთარი საქმის კეთება ბევრნაირად შეიძლება, სახისა და სახელის შენარჩუნებით. ვერ გავითავისებდით, რომ როცა რაღაც არ ვიცით და ამას ვაღიარებთ, ეს გაცილებით დიდი სიკეთის მომტანია. ვერ ვისწავლიდით, რომ „დიდებულ“ სახელს ამოფარება, არ ნიშნავს საქმის სწორად კეთებას. არის შემთხვევები, როდესაც რაღაცები უბრალოდ არ გჯერა, არ გჯერა, რომ არსებობენ ბიჭიკოსნაირი „საქმის მკეთებლები“, ვარდენისნაირი მომთხოვნები და ნანისნაირი მიამიტი ადამიანები. ხანდახან, სხვა ბიჭიკოებს სჭირდებათ გულისხმიერების, თანადგომის გამოჩენა, საქმის სწორად კეთების გამოცდილება, ისეთი ზურგის ქარი, რომელიც ყველას სწორ დანიშნულებამდე მიიყვანს. აღარ დაფიქრდებით იმაზე, გიღირთ თუ არა საერთოდ ამ ქვეყანაში, ამ გარემოში, ამ საზოგადოებაში ყოფნა, რაიმეს მოთხოვნა და კანონით კუთვნილი სიკეთეების მიღება. რადგან, საბოლოოდ ყოველთვის გამოჩნდება კარგი ბიჭიკოს გვერდით ვიღაც, ვინც დაუმსახურებლის მიკუთვნებას, ულირსობის ღირსებად წარმოჩენას და გულგრილობის გულისხმიერებად გადაქცევას შეეცდება.

**საქმე კი მაინც გამოვა, მაგრამ სხვანაირად, დროულად გამოფხიზლებული ბიჭიკოსეულად.**

**ჟუჟუნა ყანჩაშვილი**

## მონატრება

### ზინა ბექანიშვილი

ჩვენო საყვარელო დედა, დღეს 85 წელი შეგისრულდებოდა, მერვე წელია უშენოდ ავღნიშნავთ შენს დაბადების დღეს. შენი თბილი, ტკბილი, ღიმილიანი ალერსი ენატრება შენს შვილიშვილებს. ხშირად გიხსენებენ და გნატრობენ. უკვე შვილთაშვილიც გყავს და სურათით გავაცანით დიდი ბებია. ნათელში იყავი, ჩვენო მოამაგე და საყვარელო დედავ და ბებიავ.

**შვილები: თამარი და სოსო ბექანიშვილები ოჯახებით.**

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, დავით ქართველიშვილს შვილის,

**ბაჩო ქართველიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ქართველიშვილსა და მამუკა ყავრელიშვილს, შვილისა და უახლოესი ნათესავის

**ბაჩო ქართველიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

# რინგზეც, პოდიუმზეც, სცენაზეც...

პირველი ქართველი მოკრივე ქალი ელენე ბოლაშვილი დედოფლისწყაროდანაა, მას შემდეგ სპორტის ამ სახეობაში ბევრი წარმატებული გოგონა გვყავდა და გვყავს. ამიტომ, ჩვენს რაიონში ქალი რინგზე არყოთ იშვიათი სანახავია. მაგრამ გოგონა ერთდროულად იყოს ნაზიც, ლამაზიც და მებრძოლიც, იდგეს რინგზეც, პოდიუმზეც და სცენაზეც – ეს იშვიათია. „შირაქის" დღევანდელი სტუმარი ლიზი ბუთხუზი ახერხებს იყოს მოკრივეც, მოდელიც, მომღერალიც და ეს ყველაფერი არ არის...



**ლიზი ბუთხუზი:** „საკმაოდ პატარა ასაკიდან აღმომაჩნდა სიმღერის ნიჭი, რომელიც ალბათ გენეტიკურად გადმომეცა მამისგან. 5 წლის ვიყავი, როცა სიმღერა დავიწყე და დედამ გადაწყვიტა მუსიკალურ სკოლაში შევეყვნე, სადაც შვიდწლედი დავამთავრე. ქალბატონმა **დალი ელისაშვილმა** შემომთავაზა ქართულ ხალხურ გუნდში მემღერა და „ანდილში" იყო პირველი ნაბიჯები ჩემი მუსიკალური განვითარებისკენ. შემდგომ შევუერთდი ესტრადის გუნდს „ედელვაისი" **ნინო ნიკვაშვილის** ხელმძღვანელობით, სადაც დღემდე ვმონაწილეობ კონცერტებში. ასევე ჰამლეტ გონაშვილის ქართულ-ხალხურ გუნდს, სადაც ჩემი ძმა მღეროდა. მეც გამიჩნდა სურვილი, თუმცა ძირითადი დაინტერესება ესტრადამ გამოიწვია. ეს ვაქციე ჰობად, შემდეგ საკუთარი თავის გამოსაცდელად და პედაგოგის რჩევით გავედი კონკურსში „მიმღერე რამე", ავიღე მესამე ადგილი და ლაურეატის წოდება. მუსიკალურ განვითარებაშიც დიდი როლი მიუძღვის „ჯუნიორ"-ის დამფუძნებელ ბელა კავთელიშვილს, რომელმაც ერთობლივი მუსიკალური კლიპიც გადაგვიღო.

6 წლის ასაკიდან შემიყვანეს ქართულ ცეკვებზე. უამრავ კონცერტში ვმონაწილეობდი და მაქვს 7 წლიანი გამოცდილება. მთელი ბავშვობა დაინტერესებული ვიყავი სპორტითაც. როცა ვუყურებდი ჩემს ძმას, როგორ იხარჯებოდა და წარმატებები ჰქონდა, გამიჩნდა ამბიცია. 8 წლის ასაკში მიმიყვანეს კიკბოქსინგზე გუნდ „ჩემპიონში". მწვრთნელი ჩემი უსაყვარლესი ადამიანი **თამაზ ყარაგვეზაშვილი**ა, რომელიც ძალიან მეხმარებოდა ამეხდინა დასახული მიზნები. მახსოვს ის დღე, როცა გვერდით დამისვა და მითხრა, რომ დიდ იმედს ამყარებდა ჩემზე და ტურნირზე უნდა გავეყვანე. ძალიან ვამაყობ, რომ მისი იმედი გავამართლე და „ნოკდაუნით" პირველი ადგილი ავიღე. დიდი მონდომებით ვვარჯიშობდი, მაგრამ სამწუხაროდ ექიმის რჩევით შევწყვიტე ჩემთვის უსაყვარლესი საქმის კეთება და ძალიან მწყდება გული, რომ არ მომეცა შესაძლებლობა კრივს ბოლომდე გავყოლოდი. თავის ტრავმები ცუდად აისახება ჩემს მხედველობაზე და ამიტომ გავჩერდი.

ორი წლის უკან, როდესაც ეპიდემიის გამო ყველაფერი ჩაიკეტა, გამოჩნდა სიახლე: ტარდებოდა ფოტოკონკურსი ,სადაც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კუთხიდან გოგონები, დავინტერესდი და საცდელად ჩემი ფოტო გავგზავნე. დამიკავშირდნენ და მითხრეს რომ დაინტერესებული იყვნენ ჩემით და მოვხვდი საუკეთესო ათეულში, შემდეგ კი სამეულში და გავხდი კონკურსის სახე.

2021 წელს ჩატარდა სილამაზის კონკურსი, სადაც გადმომცეს „მის თბილისის" ტიტული, მომანიჭეს „New models"-ის სახე და გადმომეცა გვირგვინი.

პარალელურად გამომდის ხატვაც, თვითნასწავლი ვარ. ეს ნიჭიც ასევე მამისგან მერგო და ვცდილობ, თავისუფალი დრო დავუთმო ხატვას. სამომავლო პროფესიას რაც შეეხება, ვაპირებ განვვითარდე ფსიქოლოგიის განხრით და გავხდე პროფესიონალი ფსიქოლოგი, რისთვისაც შრომას არ ვიშურებ, ვიძიებ წიგნებს, რაც ეხება ფსიქოლოგიას და მის საინტერესო ხრიკებს.

**– ბევრი განსხვავებული სფერო მოსინჯე, რომელში უფრო კომფორტულად იყავი?**

– ყველა სფერო ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილების მომტანი იყო და არის, თუმცა უპირატესობას მაინც სიმღერას და კიკბოქსს ვანიჭებ. კრივში სიამოვნებით გავაგრძელებდი ვარჯიშს, თუმცა გული მწყდება, რომ პირადი პრობლემა არ მაძლევს საშუალებას.

**– როგორ ახერხებ რადიკალურად განსხვავებულ სფეროებში წარმატების მიღწევას?**

– ხშირად უთქვამთ, რა კავშირს ვპოულობდი კიკბოქსინგსა და სამოდელო საქმიანობას შორის, თუმცა მე არცერთი გამძნელებია. მეტსაც გეტყვით, რაბათის ციხეში სამოდელო ფესტივალზე გადაღებისას, ერთ-ერთმა კინორეჟისორმა და ასევე ფოტოგრაფი ჩემი სპორტული წარმატებებით ძალიან დაინტერესდა და შემომთავაზა ფილმში ბოქსიორის როლში გადაღება. სცენარი მზადდება და თუ მომეწონა, დავთანხმდები.

ყოველთვის იმ სიტუაციას ვირგებ, რაშიც ვარ, მაგრამ მე უფრო ვფიქრობ, ძალიან თამამი და ძლიერი პიროვნება ვარ. ჩამოვყალიბდი როგორც მებრძოლი, დამოუკიდებელი სირთულეების მოყვარული და მიზანდასახული, არასდროს ვიხევ უკან თუ კი ჩემში რაიმე ინტერესს იწვევს. ზოგადად, როცა ამ ყველაფერს ერთდროულად ინდომებ, უნდა ელოდო უარყოფით შეფასებასაც საზოგადოების მხრიდან. მაგრამ ეს არ უნდა აკნინებდეს შენს შესაძლებლობას, პირიქით უფრო მეტი შრომა და თავდაჯერებულობა შეგიძლია ხალხს აჩვენო, რომ ყველაფრისთვის მზად ხარ. თავდაჯერებულობა ზუსტად ის ერთადერთი ელემენტია, რის გამოც მე დღეს ამ შედეგამდე ვარ. საკუთარ თავთანაც მქონდა სირთულეები. როგორც ყველა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს წარმატების მიღწევის შემდეგ, მაგალითად გულის აცრუება, გადადება, საზოგადოების გავლენა და ათასი რამ, მაგრამ ისევ საკუთარ თავთან მუშაობის შემდეგ გავხდი ის, ვინც დღეს ვარ. წარმატების შემდეგ მტერს უფრო ვიძენთ, ვიდრე მოყვარეს. არავინ დამხმარებია, მხოლოდ საკუთარი თავი, ხშირად მქონდა საკუთარ თავთან ამაზე საუბარი ,რომ რატომაც არა, თუ შემიძლია რომ ვიყო მოკრივე და ამავდროულად მოდელი, რა მიშლის ამაში ხელს? ოჯახის თანადგომა გამოიხატება იმაში, რომ ითვალისწინებენ ჩემს აზრს ყოველთვის და პატივს სცემენ. ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია თანადგომისთვის

**– ლიზი, მსოფლიო ჩემპიონ ძმაზე რას გვეტყვი?**

– საბა ჩემთვის ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ყველაზე მეტად ვცემ პატივს. ერთმანეთს ყოველთვის ვუდგევართ გვერდში, არც მას ჰქონია რაიმე გართულება ჩემს არჩევანზე. მეუბნება რომ არასდროს დავუმალო, თუ ვინმე მაწყენინებს და რომ ჩემს გვერდით იქნება. მშობლებზე მეტად ძმა მიგებს და არამარტო და-ძმური, მეგობრული დამოკიდებულებაც გვაქვს. ალბათ იმიტომ, რომ ერთნაირი ინტერესები გვაქვს და გაანალიზებული გვაქვს ისიც, რომ ამქვეყნად ერთმანეთზე უკეთესი არავინ გვყავს და ეს უნდა დავაფასოთ.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

**ნელი სულაშვილს!**
**ომარ ალადაშვილს!**

გილოცავთ ტყუპი შვილიშვილების დაბადებას. მშობლებისა და პაპა-ბებიების საამაყონი გაზრდილიყვნენ. გისურვებთ ულევ სიხარულს, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**თამარ პოპიაშვილი და ანგელინა ღორაშვილი**

## ვაკანსია!

**გაზეთი „შირაქი" თანამშრომლობისთვის ეძებს კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ ახალგაზრდებს, დასაქმების პერსპექტივით – სარეკლამო აგენტისა და გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე.**

გთხოვთ, გამოგზავნოთ CV მისამართზე: gazetishiraki@gmail.com, ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაქის" რედაქციაში.

**მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18**

## ამინდი — დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 13.02 | სამშაბათი 14.02 | ოთხშაბათი 15.02 | ხუთშაბათი 16.02 | პარასკევი 17.02 | შაბათი 18.02 | კვირა 19.02 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | 5° | 4° | 5° | 2° | 2° | 3° | 3° |
| ღამე | –6° | –6° | –5° | –6° | -7° | -7° | -6° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**